
არაფორმალური განათლების აღიარების
კონსულტანტის
გზამკვლევი

2020 წელი

ვინ არის კონსულტანტი?

პირი, რომელსაც აქვს საჭირო ცოდნა და უნარები, რათა მაძიებელს გაუწიოს სათანადო კონსულტაცია საჭირო მტკიცებულებების შეგროვების/შექმნის შესახებ მოვიხსენიებთ როგორც „კოსულტანტს“. კონსულტანტი შეიძლება იყოს ნებისმირი პირი (მენეჯერი, ხელმძღვანელი, მენტორი, გამოცდილი კოლეგა, მასწავლებელი ან ინსტრუქტორი), რომელიც დააკმაყოფილებს **კონსულტანტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს** და რომელიც არ არის საჯარო მოხელე ან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომელი.

კონსულტანტი უნდა იყოს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად სერტიფიცირებული პირი.

რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს კონსულტანტი?

კონსულტანტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება ან/და პროფესიული განათლება;
- საოფისე პროგრამების ცოდნა;
- გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

კონსულტანტთა ფუნქციები და საქმიანობის პრინციპები

ფუნქციები

- არაფორმალური განათლების აღიარების წესის შესაბამისად სამუშაოს შესრულება;

- მაძიებლის ინფორმირება არაფორმალური განათლების აღიარების მიზნების შესახებ;

- მაძიებლის ინფორმირება არაფორმალური განათლების აღიარებისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის, პროცედურების, ეტაპებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ;

- მაძიებლის ინფორმირება არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული სხვა დამატებითი მოთხოვნებისა და საჭიროებების შესახებ;

- კონსულტირების ფორმის შედგენა, შესაბამისი დოკუმენტების (მტკიცებულებების) შეგროვება და ამღიარებელი დაწესებულებისათვის ან/და აღიარების კომისიისათვის მიწოდების უზრუნველყოფა;

საჭიროებიდან გამომდინარე დამატებით სხვა აქტივობები.

საქმიანობის პრინციპი

სერტიფიცირებული კონსულტანტი სამუშაოს ასრულებს ამღიარებელი დაწესებულებისგან დამოუკიდებლად, პირადი პასუხისმგებლობით.

კონსულტანტთა შერჩევის მიზნით ცხადდება კონკურსი და განისაზღვრება კონკურსის ჩატარების ვადები. კონკურსის შესახებ ინფორმაცია საჯაროა

- განაცხადის წარდგენა, რომელსაც ერთვის ავტობიოგრაფია (CV) და კვალიფიკაციის/განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, რაც ადასტურებს განმცხადებლის შესაბამისობას განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა;
- ტრენინგის გავლა;
- დავალების შესრულება და შეფასება;
- სერტიფიცირება.

2020 წელი

რას შეეხება ტრენინგი?

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიზნებსა და გამოყენების შესაძლებლობებს;
- არაფორმალური განათლების აღიარების ეტაპებსა და პროცედურას;
- კონსულტანტთა როლსა და ფუნქციებს;
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/მოდულის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების სტრუქტურასა და შინაარსს.

ვინ აფასებს გამოცდაზე შესრულებულ დავალებას?

შესრულებულ დავალებას აფასებს ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია (არანაკლებ 3 კაციანი). კომისია, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ცენტრის დირექტორს წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციას, რომელსაც ამზადებს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

რა დოკუმენტი გაიცემა შერჩეულ კონსულტანტებზე?

შერჩეულ კონსულტანტებზე გაიცემა სერტიფიკატი 3 წლის ვადით. ვადის ათვლა იწყება კონსულტანტის სტატუსის მინიჭების შესახებ, ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის თარიღიდან.

სერტიფიკატის ვადის გასვლის შემდეგ, კონსულტანტის შერჩევა და ხელახალი სერტიფიცირება ხდება მის მიერ შესრულებული სამუშაოს (კონსულტირების ფორმის - ასეთის არსებობის შემთხვევაში), ანალიზისა და დავალების გზით შეფასების საფუძველზე.

ვინ აფასებს სერტიფიცირებული კონსულტანტის საქმიანობას?

კონსულტანტთა საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს კონსულტანტთა საქმიანობაზე დაკვირვება, რომელიც გულისხმობს განსაზღვრული ფუნქციებისა და ცენტრის მეთოდოლოგიის დაცვით საქმიანობის შეფასებას. კონსულტანტთა საქმიანობის შესახებ, ცენტრის ფარგლებში, მზადდება წლიური ანგარიში, რომელშიც ასახულია ინფორმაცია კონკრეტული კონსულტანტის/კონსულტანტთა მიერ განხორციელებული აქტივობა/აქტივობები და გამოვლენილი შედეგები. ანგარიში წარედგინება ცენტრის დირექტორს სერტიფიცირებიდან ყოველი ერთი წლის თავზე.

რა შემთხვევაში უწყდება სტატუსი სერტიფიცირებულ კონსულტანტს?

კონსულტანტის სტატუსის ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

- კონსულტანტის პირადი განცხადება;
- კონსულტანტის საქმიანობის შეფასების შედეგად გამოკვეთილი ხარვეზები;
- ინტერესთა კონფლიქტი, მათ შორის კონსულტანტის დაინტერესებულ მხარესთან შრომით ურთიერთობაში ყოფნის შესახებ ინფორმაცია;
- ცენტრის მიერ დაგეგმილ და ჩატარებულ ტრენინგებში, სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობაზე არანაკლებ ორჯერ უარის თქმა;

კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

გაითვალისწინეთ!

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემური ცვლილებების ან/და კონსულტანტთა ახალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის ან/და მათი საქმიანობის წესის არსებითი ცვლილების შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კონსულტანტთა ახალი შემადგენლობის ფორმირების შესახებ.

კონსულტირების/დოკუმენტირების ეტაპი

ეს გახლავთ ეტაპი, როდესაც მაძიებელი პირველად ხვდება და ეკონტაქტება არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტს.

კონსულტანტი უნდა ეცადოს მაძიებლის ნდობის მოპოვებას, მასთან სწორი კომუნიკაციითა და მეგობრული განწყობით. მაძიებელთან შეხვედრამდე ან/და შეხვედრის შემდეგ აუცილებელია შეკითხვების სწორად განსაზღვრა, რომ ზუსტად ის ინფორმაცია მივიღოთ, რაც შემდგომი წარმატებისთვის გამოგვადგება. მოსმენა და მოსმენილის გაანალიზება არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის ამ ეტაპზე კონსულტანტის ფუნქციაა მაძიებელს დაეხმაროს შემდეგი მიმართულებით:

- არაფორმალური განათლების აღიარების მიზნების იდენტიფიცირება/განსაზღვრა;
- არაფორმალური განათლების აღიარებისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის, მტკიცებულებების, პროცედურების, ეტაპებისა და მოსალოდნელი შედეგების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება;
- ყველაზე შესაფერისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/სტანდარტების იდენტიფიცირება/განსაზღვრა, რომელიც აკმაყოფილებს მის საჭიროებებს - წინა საგანმანათლებლო/სამუშაო გამოცდილებას;

კონსულტაცია აუცილებელია მაძიებელთათვის აღიარებასთან დაკავშირებული სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. მაძიებლებს სჭირდებათ დახმარება იმის გასაცნობიერებლად, თუ ის უნარები და ცოდნა, რომლის აღიარებაც მათ სურთ, რამდენად უკავშირდება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც მოხდება აღიარება.

მაძიებელთან შეხვედრები შესაძლებელია მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

- ნაბიჯების იდენტიფიცირება, რაც საჭიროა არაფორმალური განათლების აღიარების მიზნების მისაღწევად;
- პრობლემების იდენტიფიცირება და მაძიებლის დახმარება მათი გამკლავების გზების ძიებაში;
- ძლიერი სფეროების იდენტიფიცირება და როგორ უნდა გამოიყენოთ ისინი;
- წინა საგანმანათლებლო გამოცდილების იდენტიფიცირება;
- მტკიცებულებების იდენტიფიცირება, რომელიც ადასტურებს პირის წინა საგანმანათლებლო/სამუშაო გამოცდილებას;
- დახმარება და უკუკავშირის მიცემა, რაც დაეხმარება მაძიებელს თვითდარწმუნებულობაში.

კონსულტანტთან შეხვედრები ფორმდება ჩანაწერის სახით. კონსულტანტთან შეხვედრის ჩანაწერი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- შეხვედრების თარიღები;
- განხილული საკითხები;
- შესაბამისი სასწავლო გამოცდილების იდენტიფიცირება;
- ნებისმიერი შემდგომი აქტივობა - ვის მიერ და რა როდის.

კონსულტირების ფორმის შევსებისას **(იხ. კონსულტირების ფორმის ნიმუში №1)**, კონსულტირების ეტაპზე კონსულტანტი განხილული თემებისა და შესაბამისი აქტივობების შესახებ მაძიებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ახდენს მაძიებლის გამოცდილების იდენტიფიცირებას, რის შედეგადაც იგი ადგენს არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული, თუ რომელი სწავლის შედეგ(ებ)ია იდენტიფიცირებული **(იხ. კონსულტანტის დამხმარე ანკეტა დანართი №2).**

კონსულტანტი კონსულტირების ფორმაში ასევე ასახავს ინფორმაციას მაძიებლის კომპეტენციების შესახებ და აღწერს მათ. საკვანძო კომპეტენციების შინაარსობრივი განსაზღვრისას იხელმძღვანელეთ ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციებით - **საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის**. **(იხ. საკვანძო კომპეტენციების აღწერილობა დანართი №3)**.

მტკიცებულებები

მტკიცებულება ადასტურებს იმას, თუ მაძიებელს რისი გაკეთება შეუძლია. ეს არის მის მიერ შესრულებული სამუშაოს მტკიცებულება ან, შეიძლება ეს იყოს მაძიებლის სამუშაო უნარების შესახებ წერილობითი დადასტურება იმ პირის მხრიდან, ვინც აკვირდებოდა მაძიებელს. ეს პირი შეიძლება იყოს მაძიებლის ხელმძღვანელი ან ფასილიტატორი, მენტორი, მომხმარებელი ან კლიენტი.

მაძიებელი თავად აგროვებს ცოდნისა და უნარების შესახებ მტკიცებულებებს.

მაძიებლის მხრიდან მოწოდებული მტკიცებულებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

- რეზიუმე / CV;
- სამუშაო გამოცდილების შესახებ ანგარიშები;
- ტრენინგზე დასწრების შესახებ სასწავლო ჩანაწერი და სერტიფიკატები;
- სამუშაო ჩანიშვნები და ჩანაწერი;
- რეკომენდატორის მიერ გაცემული ცნობა ან/და ფოტომასალა;
- ვიდეო ჩანაწერები, პრეზენტაცია(ები).

მიუხედავად იმისა, რომ კონსულტანტმა შესაძლოა დააკვალიანოს მაძიებელი მტკიცებულებების შეგროვებაზე (შექმნაზე) და მოამზადოს შეფასებისათვის, ის არ უნდა ჩაერიოს მტკიცებულებების შეგროვების პროცესში. მაგალითად, კონსულტანტი შესაძლოა მაძიებელს დაეხმაროს გამოცდილების საფუძველზე მიღებული განათლების მტიცებულების იდენტიფიცირებაში, მაგრამ ის არ უნდა ჩაერიოს თვითრეფლექსიის ანგარიშების მომზადებაში (მაგალითად მაძიებლის მიერ წარმოებული დღიური, სასწავლო ჟურნალის ჩანაწერები და სხვა). მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულება/მტკიცებულებები ნათლად უკავშირდებოდეს სტანდარტში მოცემული კონკრეტულ სწავლის შედეგებს, შესრულების კრიტერიუმებს, ამოცანებსა და მოვალეობებს.

არაფორმალური განათლების აღიარების დოკუმენტური მტკიცებულებები, როგორც წესი, იკრიბება პორტფოლიოში. ეს შეიძლება იყოს ელ. პორტფოლიოც. ასეთი პორტფოლიოები შესაძლებლობას იძლევა ერთად მოვუყაროთ თავი ტექსტებს, აუდიო, გრაფიკულ და ვიდეო მასალებს. პორტფოლიო კარგად უყრის თავს მაძიებლის გამოცდილებას და ასახავს მაძიებლის მიღწევებს და წარმატებებს.

მტკიცებულებების აღრიცხვისთვის შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი ცხრილით*

მტკიცებულებები

მტიცებულების ნომერი	**მტკიცებულების აღწერა**

მაძიებლის მხრიდან მტკიცებულებების წარდგენის შემდეგ დააკვირდით რამდენად არის წარმოდგენილი მტკიცებულებები:

1.საკმარისი - არსებობს თუ არა საკმარისი მტკიცებულება, რომელიც ამტკიცებს ცოდნას და უნარებს?
2.ნამდვილი - მტკიცებულება მაძიებლის მიერ არის თუ არა შექმნილი?
3.მიმდინარე - მტკიცებულებები უკავშირდება თუ არა ამჟამინდელ განათლებასა და სამუშაოს.

***ცხრილის გამოყენება არ არის სავალდებულო**

მტკიცებულებების სწავლის შედეგებთან კავშირი*

მოდულის სახელწოდება: **კოდი:**

მტკიცებულების ნომერი	მტკიცებულების აღწერა	სწავლის შედეგი	საკმარისი	ნამდვილი	მიმდინარე

*ცხრილის გამოყენება არ არის სავალდებულო

გაითვალისწინთ!

მტკიცებულებები შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი.

პირდაპირი მტკიცებულება ადასტურებს იმას, თუ მაძიებელს რისი გაკეთება შეუძლია. ეს არის მის მიერ შესრულებული სამუშაოს მტკიცებულება ან, შეიძლება ეს იყოს მაძიებლის სამუშაო უნარების შესახებ წერილობითი დადასტურება იმ პირის მხრიდან, ვინც აკვირდებოდა მაძიებელს. ეს პირი შეიძლება იყოს მაძიებლის ხელმძღვანელი ან ფასილიტატორი, მენტორი, მომხმარებელი ან კლიენტი.

არაპირდაპირი მტკიცებულება - არის დამხმარე მტკიცებულება. ეს უზრუნველყოფს ისეთი სახის ინფორმაციას, რომელიც ადასტურებს პირდაპირ მტკიცებულებას - მაგ. რეზიუმე ან CV. ეს შესაძლოა იყოს:

- საქმიაობის შესახებ წერილობითი მტკიცებულება;
- წინა და ახლანდელი დამსაქმებლის, ზედამხედველის და კოლეგების მიერ დაწერილი რეკომენდაციები;
- სხვებისგან გაცემული უკუკავშირი დავალების შესახებ, რომელიც მაძიებელმა შეასრულა, ან მათ მიერ გაკეთებული პრეზენტაცია ან საუბარი;
- კურსზე დასწრების ჩანაწერები.

მანანა მახარაშვილი

პირველი სერიოზული შეხება პროცესთან, ETF-ის მიერ განხორციელებულ პროექტში მომიწია, როდესაც, არაფორმალური განათლების აღიარების პოლიტიკა განისაზღვრა. ამ პროექტში ნათლად დავინახე პროცესის მნიშვნელობა, მოქნილობა და აქტუალობა. ამიტომაც, როგორც კი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა გამოაცხადა კონსულტანტების კონკურსი, არ დავფიქრებულვარ. გადაწყვეტილების სისწორეში დამარწმუნა სერტიფიცირებამდე განხორციელებულმა ტრენინგებმაც, რომლებიც არაჩვეულებრივად დაგეგმილი, საინტერესო თემატიკითა და სიტუაციური ამოცანებით იყო აგებული. ამოცანები იმდენად საინტერესო, პრობლემატური და მრავალმხრივი იყო, ვფიქრობ, სწორედ ამან განაპირობა სასერტიფიკაციო გამოცდის წარამატებით დაძლევა.

ტრენინგების ციკლმა, კიდევ ერთეხლ დამარწმუნა, რომ პროფესიული განათლების სისტემაში, არაფორმალური განათლების აღიარებას განსაკუთრებული როლი უკავია.

ჩვენი ცხოვრების სწრაფი რიტმიდან გამომდინარე, სულ უფრო რთულია ფორმალური განათლების ჩარჩოებში, სწავლების იმ რეგულაციებსა და ხანგრძლივ რუტინაში ჩართვა, რომელსაც განათლების ეს ფორმა ითხოვს. ამიტომაც სიცოცხლის მანძილზე, არაფორმალური გზით უფრო მეტ ცოდნას ვიძენთ, ვიდრე ფორმალურით. ხოლო ხელთ, შეძენილი ცოდნა-უნარების დამადასტურებელი დოკუმენტი, არ გვაქვს ან უმრავლეს შემთხვევაში, რამე სახით არსებობისას, ოფიციალურად არ აღიქმება.

გარდა ამისა, თანამედროვე ტექნოლოგიები, სულ უფრო მეტ შესაძლებლობას ქმნის გავიაროთ პროგრამები დისტანციურად, ასევე ბევრია ორგანიზაცია (სასწავლო ცენტრები, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციები და ა.შ.), რომლებიც სხვადასხვა კურსებს სთავაზობენ პირებს, და არც ამ შემთხვევაში გაცემული სერტიფიკატია ოფიციალურად აღიარეული დოკუმენტი. არაფორმალური განათლების აღიარება - ჩვენი არაფორმალურად მიღებული განათლების ფორმალურ ჩარჩოებში გადატანის უნიკალური შესაძლებლობაა.

ჩვენი კომპეტენციების ფაქტობრივად ნახევარი, თუ უფრო ბევრი არა, ე.წ. ინფორმალური განათლებით შეძენილია, რომელიც ასევე არაფორმალური განათლების ნაწილია. რიგ შემთხვევებში, არც ამგვარად შეძენილი ცოდნა-უნარების, დადასტურებაა შესაძლებელი ოფიციალურად აღიარებული დოკუმენტით. ჩვენს რეალობაში, საზღვრებს გარეშე მობილობისა და შესაძლებლობების გამოყენებისთვის, პირველ რიგში, საკუთარი კომპეტენციების დადასტურებაა საჭირო, მხოლოდ უშუალო დემონსტრირებით კი არა, არამედ დოკუმენტურადაც. ამ ყველაფრის ოფიციალურად აღიარებისთვის არსებობს ალტერნატივაც - ფორმალური განათლების სრული ციკლის გავლა. თუმცა სწავლის პროცესი, ასეთ შემთხვევაში, ფაქტობრივად მართლა „ფორმალურია“, რადგან პროგრამებით გათალისწინებულ

ცოდნას, პირი უკვე ფლობს, სასწავლო პროცესი კი ხშირად მხოლოდ დროის უქმად დაკარგვა და კარიერის გზაზე ბარიერია - სწორედ, ***დაბრკოლებების გარეშე კარიერის განვითარება და დროის ეფექტური მენეჯმენტია, ჩემთვის არაფორმალური განათლების აღიარება.***

დიანა გახარია

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის შეტანა გამაბედინა ძველი წესით (8/ნ) მცირე გამოცდილებამ. Emis-ში, 2016 წელს ჩატარდა ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროექტის ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგიის (რაც ფაქტობრივად ამჟამინდელი კანონმდებლობაა) პილოტაჟი. შევასრულე კონსულტანტის როლი (იმ დროისთვის ნაკლები სამართლებრივი მხარის და პროცედურებზე ინფორმაციის ქონის მიუხედავად მთლიანად პროცესი იყო ჩემთვის ძალიან საინტერესო და შემოქმედებითი). ამას მოჰყვა 2017 წელს პროექტის ხელმძღვანელობა, რომლის ფარგლებშიც მოხდა საქართველოს მასშტაბით 8 სხვადასხვა კოლეჯში სამიზნე ჯგუფების დატრენინგება მეთოდოლოგიის გაცნობის და სიმულაციის ჩატარების გზით.

ყველაფერი ახალი მეტნაკლებად წარმოადგენს სირთულეს, თუმცა თუ ვუდგებით ისე როგორც გამოწვევას სირთულე კლებულობს და გადადის აზარტში. სირთულეს წარმოადგენს პირველი ეტაპი: გადაწყვეტილების მიღება მონაწილეობის თაობაზე. შემდეგ ყველაფერი პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული, არა უბრალოდ ბედის ცდა გამოცდაზე გასვლით, არამედ გასამარჯვებლად მონაწილეობის გადაწყვეტილებაა მთავარი! *(ცუდად გამომდის თავის გამხნევება ამ ნაწილში, მაგრამ სამაგიეროდ სხვებზე ვმოქმედებ კარგად ☺)* არსებობს საკანონმდებლო ბაზა, უკვე გზამკვლევები (ყველა კუთხიდან - დაწესებულების გადმოსახედიდან და მაძიებლის პოზიციიდან კონსულტანტისათვის ინფორმაციის ქონა მნიშვნელოვანი და სასარგებლოა მთლიანი პროცესის სწორად აღქმისთვის), რომელთა საფუძვლიანი გაცნობა და სწორი გაანალიზება იძლევა კარგად მომზადების საშუალებას.

მიუხედავად იმისა, რომ ტრენინგებს მოგვიანებით შემოვუერთდი, ასევე მიუხედავად იმისა, რომ საკითხებზე გამოცდილება სხვადასხვა სახის მქონდა, ტრენინგი იყო ჩემთვის კარგი „მომწესრიგებელი“ მანამდე არსებული ცოდნისა და გამოცდილების ფონზე, ახალი კანონმდებლობის მოთხოვნების გაცნობის და რაც მთავრია პროცესების ეტაპებად დაყოფის თავალსაზრისით. გამოცდის წინა ტრენინგი იყო გამოცდაზე ორიენტირებული და რეალური მოსამზადებელი ეტაპი გამოცდისთვის. ტრენინგებზე ჩანაწერების კეთება სატრენინგო მასალების დარიგების/დაგზავნის მიუხედავად ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლოა შემდგომში ინფორმაციის აღდგენისათვის. ზოგადი შთაბეჭდილება ნებისმერ განხილულ საკითხზე, მონაწილის მოლოდინი და რეალობა ინფორმაციის მოსმენისას - ყველა დეტალზე, როდესაც დამოკიდებულებაც ჩნდება ტრენინგზე მოსმენისას თუ წაკითხვისას, კარგია თუ მოხდება ჩანიშვნები პირადი „გამოცდილების ასაგებად“.

გამოცდას, როგორც ყველა მსგავს პროცესს, ახლავს მღელვარება, ინტერესი, მოლოდინი. მე პირადად აჟიტირებული ვიყავი ყველა ჩამოთვლილი ემოციის ერთდროულად განცდით. გამოცდა იყო ორგანიზებული კარგად და დავალებები იყო მოცემული გასაგებად. ჩემთვის პირადად ხელით წერა იყო ცოტა მოუხერხებელი, ცუდი კალიგრაფიის გამო (ჩანაწერების ხელით კეთება ზოგადად მიყვარს, მიუხედავად იმისა რომ გაჯეტებზე ვართ ყველანი დამოკიდებულები).

ყველაზე საინტერესო და ყველაზე შემოქმედებითი მაძიებელთან ურთიერთობაა. გამოცდის მაგალითზე, წარმოსახვით მაძიებელთან მუშაობაც კი ჩემთვის ძალიან აზარტული იყო.

თამთა მურადაშვილი

როდესაც გამოცხადდა მიღება არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტის პოზიციაზე, ბევრი ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი. განათლების სისტემის მიმართ დიდი ინტერესის გამო დავინტერესდი პროგრამით, მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე ვერ ვიაზრებდი პროგრამის არსს.

აპლიკაციის შევსების შემდეგ დაიწყო ტრენინგების ეტაპი, სადაც ტრენერებმა მოახერხეს და არა მარტო შეგვასწავლეს პროცედურები, არამედ შეგვაყვარეს ეს საქმიანობა, რომლის პრაქტიკულად განხორციელება არც კი დაგვიწყია. ტრენერები ორიენტირებულები იყვნენ იმაზე, რომ მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია გადმოეცათ პოტენციური კონსულტანტებისთის და მოესმინათ მაქსიმალურად მეტი უკუკავშირი იმისთვის, რომ მიღებული ინფორმაცია გამოეყენებინათ პროგრამის განვითარებისთვის.

კონსულტანტის მოვალეობა არ იწყება იმით, რომ მაძიებლის დაკავშირების შემდეგ მოაგვაროს მისი განათლების აღიარებისთვის საჭირო მასალა და არ მთავრდება სასურველი შედეგის მიღებით კონკრეტულ მაძიებელთან. არაფორმალური განათლების კონსულტანტის როლი ძალიან მნიშვნელოვანია და ჩართულია მთლიან პროცესში პროგრამის განვითარებისთვის. ჩემთვის, როგორც კონსულტანტისთვის, სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმის ნაწილი ვარ. გარდა ამისა, პროგრამაში ჩართვით გავიცანი ძალიან საინტერესო ადამიანები.

გამომდინარე იქიდან, რომ არაფორმალური განათლების აღიარება ახალია, არის საკითხები რომელიც ბუნდოვანია, მაგალითად, პრაქტიკაში როგორ მოხდება გამოცდილების გადატანა. რამდენად რელევანტური იქნება ის ტრენინგებზე ნასწავლი ინფორმაცია, როდესაც რეალურ მაძიებელთან მოგვიწევს მუშაობა. რამდენად კეთილგანწყობით მიგვიღებენ კოლეჯები, როდესაც დაიწყებენ

არაფორმალური განათლების აღიარებას. რამდენად გამოიწვევეს საზოგადოების დაინტერესებას - ეს არის ის ძირითადი სირთულეები, რაც შეიძლება მოყვეს პროგრამის შემდეგ ეტაპზე გადასვლას.

მომავალმა კონსულტანტებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მაქსიმალურად ჩაერთონ ტრენინგებში და მაქსიმალურად ბევრი კითხვები დასვან სწავლის პროცესში.

ანი ბოჭორიშვილი

არაფორმალური განათლების მიმართ ინტერესი ჩემმა პროფესიამ - ჟურნალისტიკამ განაპირობა. ვმუშაობდი უმაღლესი განათლების საკითხებზე, თუმცა მქონდა არასრული წარმოდგენა ამ სფეროში არსებულ მდგომარეობაზე. სწორედ ამის გამო, სწავლა განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე გავაგრძელე. ამ პერიოდში თითქმის არ მქონია შეხება პროფესიულ განათლებასთან. მინდოდა მესწავლა რაღაც ახალი. ვფიქრობ, არაფორმალური განათლების აღიარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა თანამედროვე განათლების სისტემისთვის და ის მხოლოდ პროფესიულ სასწავლებლებს არ უნდა მოიცავდეს.

თემით დაინტერესება განაპირობა იმანაც, რომ ამ გზით ჩემს მიერ არჩეული ორივე პროფესიის სინთეზს შევძლებდი, რასაც თავიდანვე ვგეგმავდი. კონსულტანტის პოზიცია გულისხმობს ადამიანებთან შეხვედრას, მათგან ინფორმაციის მიღებას, რაც ჩემთვის ორგანულია. ვფიქრობ, ამ მხრივ საკმაო გამოცდილებაც მაქვს.

საწყის ეტაპზე, ტრენინგზე მოსვლამდე, გადავხედე არსებულ ლიტერატურას და ცოტა შევშინდი, რადგან ამ ინფორმაციამ შემიქმნა მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა. ტრენინგზე ჩემთვის თითქმის ყველაფერი ახალი იყო. საინტერესო იყო პროცესიც, რადგან ყველა პუნქტი დეტალურად განვიხილეთ, თუმცა მაინც დამრჩა დაბნეულობის განცდა.

ძალიან საინტერესო აღმოჩნდა გუნდურად მუშაობა, რადგან ჩემს გარდა, ჩემი გუნდის ყველა წევრს ჰქონდა შეხება პროფესიულ სასწავლებლებთან, ან ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მაინც. მე კი ამ მხირვ მხოლოდ თეორიული ცოდნა მქონდა. მიუხედავად ამისა, კონსულტირების ფორმის განხილვისას, ჩემი უნარებიც გამოსადეგი აღმოჩნდა.

რაც შეეხება ტესტირებას, ძალიან ვნერვიულობდი, გამოცდის წინ ტრენინგზე გაცნობილ ადამიანებს დავუკავშირდი და მათთან ყველა კითხვის ნიშანი გავიარე, რომლებიც ტრენინგის დასრულების შემდეგ აღმოვაჩინე. გამოცდის დასრულების შემდეგაც არ მქონდა კონკრეტული მოლოდინი, თუმცა, ვფიქრობდი, ტექნიკურად თითქმის ყველაფერი სწორად გავაკეთე.

ამ ეტაპისათვის, ცოტა რთულია ამ საკითხზე უფრო ღრმად ვისაუბრო, რადგან ჯერ არ გვქონია მიღებული ინფორმაციის პრაქტიკულად გამოყენების საშუალება. ვიმედოვნებ, ეს მალე მოხდება. მახარებს, რომ პირველები ვართ და ვფიქრობ, შეგვიძლია გარკვეული წვლილი ჩვენც შევიტანოთ ამ პროცესში.

რაც შეეხება მომავალი კონსულტანტებისათვის რჩევას, ეს ალბათ არა მხოლოდ მომავალი, არამედ უკვე სერტიფიცირებული კონსულტანტების მიმართაც რელევანტური იქნება. კონსულტანტებს გვმართებს ძალიან დიდი სიფრთხილე მაძიებელთან ურთიერთობისას, რადგან მათგან ინფორმაციის მიღება სწორედ ჩვენზეა დამოკიდებული. არ უნდა გამოგვრჩეს არც ერთი პუნქტი და უნდა მოვახერხოთ მაძიებლის სათანადოდ ინფორმირება, რათა კომისიას შევუქმნათ მაქსიმალურად ზუსტი წარმოდგენა მათ უნარებსა და შესაძლებლობებზე. ამიტომ, ჩემი აზრით, ეს საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმეა.

სალომე ონიანი

ყოველთვის ვამოწმებ eqe.ge-ზე სიახლეებს და ერთ-ერთი ასეთი შემოწმების დროს აღმოვაჩინე კონკურსის შესახებ, მართალი გითხრათ იმ დროისათვის არ ვიცოდი რა იყო "არაფორმალური განათლება" და მითუმეტეს მისი აღიარების მექანიზმი. წავიკითხე რა განმარტება მივხვდი რომ ეს პროგრამა ბევრ ჩვენს მოქალაქეს დაეხმარებოდა საკუთარი თავის უფრო მეტად რეალიზებასა და შეცნობაში. ასევე დამაინტერესა თავად მექანიზმის მუშაობამ თუ როგორ მოხდებოდა ისეთი განათლების აღიარება, რომლის მიღების დასტურად მხოლოდ ერთი სიტყვა შეიძლებოდა ყოფილიყო "თვითნასწავლი". სწორედ ამ ინტერესისა და დაპირებული ტრენინგების გამო წარვადგინე ჩემი კანდიდატურა "კონსულტანტის" პოზიციაზე. ტრენინგის დასაწყისში მივხვდი რომ ეს პროგრამა სწორედ ის არის რაც ბევრ ჩემს სტუდენტს გაუადვილებდა მისი ცოდნის დადასტურების გზას და ცოტა არ იყოს შემეშინდა როცა გავიაზრე თუ რამხელა როლი უნდა მეთამაშა "მაძიებლის" ცხოვრებაში. მაგრამ, ტერენინგზე ისე დაწვრილებით გავიარეთ ყველა პროცედურა მივხვდი რომ შეუძლებელი არ იყო და პრაქტიკაში უფრო მეტს ვისწავლი და გავიგებდი. საინტერესო პროცესია, როდესაც ადამიანს ეხმარები იმ ცოდნის დამტკიცებაში, რომელიც მან ფორმალური განათლების გარეშე მიიღო. გამოცდაც სწორედ ისეთი იყო როგორიც ტრენინგზე გავიარეთ, ერთადერთი სირთულე ის გახლდათ რომ რეალურ პიროვნებასთან არ ატარებდი კონსულტაციას და ფურცელზე გიწევდა როგორც კითხვების ასევე პასუხების მოფიქრება. მაგრამ შემიძლია მომავალ კონსულტანტებს ვურჩიო რომ ეს სირთულე მათ სასარგებლოდ შეუძლიათ გამოიყენონ, რადგან თავად შეუძლიათ ისეთი პასუხები გასცენ კონსულტანტის კითხვებს რომ გაიადვილონ დასკვნის დაწერა.

2020 წელი

რჩევები მომავალ კონსულტანტებს:

1. კარგად მოუსმინეთ ტრენინგს, განსაკუთრებით ყოველსიტყვას, სწორედ მინიშნებები დამეხმარა გამოცდის დაწერაში და არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის გააზრებაში.
2. კარგად გაიაზრეთ მოცემული დავალება. დავალების ყოველ წინადადებაში შეიძლება იმ მოდულის და მისი სწავლის შედეგის ამოკითხვა, რომლის იდენტიფიცირებაც უნდა მოახდინოთ.

ლიკა ზაალიშვილი

2019 წელს მონაწილეობა მივიღე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შესარჩევ კონკურსში. აღნიშნული გადაწყვეტილება ორი მიზეზით იყო განპირობებული: ერთი მხრივ, პირადად ვიყავი დაინტერესებული ამ საკითხით და მეორე მხრივ, დაწესებულება, რომელშიც ვმუშაობდი, აპირებდა არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვებას და შემეძლებოდა აღნიშნული ფუნქციის შეთავსება.

კონკურსის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი სპეციალურად ჩვენთვის მომზადებული ტრენინგები იყო. სწორედ ამ ტრენინგებზე დეტალურად გავიარეთ არაფორმალური განათლების კონსულტანტის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, შევასრულეთ პრაქტიკული დავალებები, მივიღეთ ამომწურავი ინფორმაცია პროფესიული განათლების შესახებ.

საკონკურსო გამოცდა ძირითადად ორიენტირებული იყო პრაქტიკულ დავალებაზე, რომელიც მაქსიმალურად ესადაგებოდა კონსულტანტის რეალურ საქმიანობას. შესაბამისად, გამოცდა საშუალებას იძლეოდა გამოგვევლინა ის უნარები, რაც მომავალში სამუშაო ადგილზე უნდა გამოგვეყენებინა.

მარიამ აბაშვილი

გამომდინარე იქიდან, რომ ოთხ წელზე მეტია ჩართული ვარ პროფესიულ განათლებაში სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (ადმინისტრაციის წევრი, პროფესიული მასწავლებელი), გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო კონსულტანტთა შესარჩევ კონკურსში და დავრეგისტრირდი. სრულიად მოულოდნელად მოვხვდი 9 კონკურსანტში, რამაც ძალიან გამახარა და კიდევ უფრო მეტი მოტივაცია გამიჩინა წარმატებით გავაგრძელო ჩემი საქმიანობა პროფესიული განათლების მცირედით განვითარებაში.
რაც შეეხება ჩემს გამოცდილებას როგორც არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტი, მოგახსენებთ, რომ ამ ეტაპისთვის არ მაქვს კონსულტანტად მუშაობის პრაქტიკა და შესაბამისად მიჭირს რაიმე სახის რჩევის, გამოცდილების გაზიარების და კომენტარების გაკეთება აღნიშნულთან დაკავშირებით :)

2020 წელი

დანართები

ნიმუში №1

მაძიებლის კონსულტირების ფორმა

1. კონსულტირების ეტაპი

№	შეხვედრის თარიღი	განხილული თემები/ შესრულებული აქტივობები	იდენტიფიცირებული გამოცდილება	ხელმისაწვდომი მტკიცებულებები	დამატებითი ინფორმაცია
1	15.03.2020	პირველადი შეხვედრა მაძიებელთან. ვისაუბრეთ არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურებსა და ეტაპებზე, აგრეთვე მის მოლოდინებზე. მაძიებელი სკოლის დასრულების შემდეგ რამდენიმე წელია რაც ოფისში მუშაობს. მან ბევრი რამ შეისწავლა სამუშაოს შესრულებისას, წიგნებიდან და კოლეგებისგან. სურს მისი უნარების ფორმალური აღიარება. ამასთან, სამსახური თხოვს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.	განხილულ იქნა მაძიებლის ყოველდღიური პასუხისმგებლობები, რაც ძირითადად **საფინანსო დოკუმენტებთან მუშაობას** უკავშირდება. ასევე გამოცდილება აქვს **საორგანიზაციო დოკუმენტების პროექტების მომზადებაში.**		ვინაიდან პირველივე შეხვედრაზე განისაზღვრა შესაბამისი სფერო და ასევე იდენტიფიცირებულ იქნა გამოცდილება, მაძიებელს გასაცნობად გადაეცა შესაბამისი მოდულები, რის საფუძველზეც მოხდება სწავლის შედეგების აღიარება. მომდევნო 1 კვირის განმავლობაში, ის აღრიცხავს საქმიანობებს და გამოცდილებას რაც შეესაბამება სწავლის შედეგებსა და შესრულების კრიტერიუმებს. დაიგეგმა მომდევნო შეხვედრა
2	24.03.2020	მტკიცებულებების შეგროვების შესახებ	ოფისში ძირითადად ამზადებს სხვადასხვა	მის მიერ შემუშავებული	მაძიებელმა მიიღო რჩევა დაიწყოს მტკიცებულებათა

		მსჯელობა.	საფინანსო დოკუმენტების შაბლონებს, ამასთან იცის საბუღალტრო დოკუმენტებთან მუშაობა. აქვს გამოცდილება შინაგანაწესისა და დებულების პროექტების შემუშავებაში, მუშაობის პროცესში ისწავლა საორგანიზაციო დოკუმენტის დამტკიცების გრიფისა და სატიტულო ფურცლის გაფორმება	ხელშეკრულებები; მიღება-ჩაბარების აქტები; ინვოისი; შინაგანაწესის პროექტი, დებულების პროექტი	შეგროვება. დაიგეგმა მომდევნო შეხვედრა

2. **არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგ(ებ)ი იდენტიფიცირებულია**

- ☐ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სწავლის შედეგი/შედეგები
- ☒ მოდულის/მოდულების სწავლის შედეგი/შედეგები

3. **იდენტიფიცირებული სწავლის შედეგები**

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი

1. საოფისე საქმე და ღონისძიების ორგანიზება - სარეგისტრაციო ნომერი 04119-3

მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი

- საფინანსო დოკუმენტებთან მუშაობა - 0411909
- საორგანიზაციო დოკუმენტების პროექტების მომზადება - 0411913

№	პროფესიული საგანმანათლებლო	არაფორმალურ გარემოში მიღწეული	მაძიებლის მიერ აღწერილი	მტკიცებულების აღწერა	მტკიცებულების ნომერი	დამატებითი ინფორმაცია

	სტანდარტის/მოდულის სწავლის შედეგი(ებ)ს დასახელება	**სწავლის შედეგი**	**შესრულების კრიტერიუმი**			
01	დოკუმენტების შაბლონურ ფორმებთან მუშაობა	ოფისში ძირითადად ამზადებს სხვადასხვა საფინანსო დოკუმენტების შაბლონებს, ამასთან იცის საბუღალტრო დოკუმენტებთან მუშაობა.	შეაქვს მონაცემები საბუღალტრო დოკუმენტებში, ამზადებს მარტივ საფინანსო დოკუმენტებს.	ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები, ინვოისი.	დანართი №1 - ხელშეკრულებები; დანართი №2 - მიღება-ჩაბარების აქტები; დანართი №3 - ინვოისი	
02	საორგანიზაციო დოკუმენტის პროექტის მომზადება	აქვს გამოცდილება შინაგანაწესისა და დებულების პროექტების შემუშავებაში, მუშაობის პროცესში ისწავლა საორგანიზაციო დოკუმენტის დამტკიცების გრიფისა და სატიტულო ფურცლის გაფორმება	ამზადებს საორგანიზაციო დოკუმენტის პროექტებს, აგრეთვე დადგენილი წესების შესაბამისად აფორმებს საორგანიზაციო დოკუმენტის დამტკიცების გრიფსა და სატიტულო ფურცელს.	შინაგანაწესის პროექტი, დებულების პროექტი	დანართი №4 - შინაგანაწესის პროექტი; დანართი №5 დებულების პროექტი	

საკვანძო კომპეტენციები	**მონიშნეთ**	**აღწერა**
მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია	▮ კი ☐ არა	
უცხო ენაზე კომუნიკაცია	▮ კი ☐ არა	
მეწარმეობა	☐ კი ☐ არა	
ციფრული კომპეტენცია	☐ კი ☐ არა	

მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში	■ კი ☐ არა	
პიროვნებათშორისი და მოქალაქეობრივი კომპეტენციები	☐ კი ☐ არა	
კულტურული გამომხატველობა	☐ კი ☐ არა	
დამოუკიდებლად სწავლის უნარი	■ კი ☐ არა	

გაითვალისწინეთ ! კონსულტირების ფორმას ხელს აწერს კონსულტანტი და მაძიებელი, ამასთან, ხელმოწერები საჭიროა ყველა გვერდზე

კონსულტანტი:

მაძიებელი:

დანართი №2
არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტის დამხმარე ანკეტა*

1. **ინფორმაცია ფორმალური განათლების შესახებ**

N	პერიოდი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სწავლის შედეგი/შეძენილი კომპეტენციები	არსებული მტკიცებულება

2. **ინფორმაცია პროფესიული გამოცდილების შესახებ**

N	პერიოდი	ორგანიზაციის დასახელება, პოზიცია	შესრულებული სამუშაოს/მოვალეობების ჩამონათვალი, პასუხისმგებლობის სფეროები	არსებული მტკიცებულება

3. **ინფორმაცია არაფორმალური განათლების შესახებ (სტაჟირება, ტრენინგები და ა.შ.)**

N	პერიოდი, განმახორციელებელი ორგანიზავია	კურსის/ტრენინგის და ა.შ. დასახელება	სწავლის შედეგი/შეძენილი კომპეტენციები	არსებული მტკიცებულება

4. **ინფორმაცია თვითსწავლის შედეგად მიღებული განათლების შესახებ**

N	პერიოდი	შესწავლილი საგნანი/სფერო	სწავლის შედეგი/შეძენილი კომპეტენციები

5. **დამატებითი ინფორმაცია**

(ინფორმაცია ენების ფლობის შესახებ, სხვადასხვა საქმიანობების (ვოლონტიორი, კულტურულ-შემოქმედებითი, სპორტული და ა.შ.), პროფესიულ ასოციაციებსა და სხვა ორგანიზაციებთან კომუნიკაცია, წევრობა და ა.შ. და ამ საქმიანობით შეძენილი ცოდნა-უნარები.)

2020 წელი

N		არსებული მტკიცებულება

*კონსულტანტის დამხმარე ანკეტა შემუშავებულია სერტიფიცირებული კონსულტანტის - მანანა მახარაშვილის მიერ. ანკეტის შევსება არ არის სავალდებულო, თუმცა სერტიფიცირებულ კონსულტანტს გამოადგება მნიშვნელოვანი საკითხების აღრიცხვაში და შემდგომ კონსულტირების ფორმის შევსებაში.

დანართი №3

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო. საკვანძო კომპეტენციების დომენების განმარტება და თითოეულ დომენთან მიმართებაში ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების აღწერა.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
1. მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია	კომუნიკაცია ფიქრების, გრძნობების და ფაქტების გამოხატვისა და ინტერპრეტირების უნარია, როგორც ზეპირმეტყველებაში, ასევე წერილობით მრავალმხრივ სოციალურ და კულტურულ კონტექსტში – სამსახურში, სახლში და თავისუფალი დროის გატარებისას.	• ძირითადი ლექსიკის, სტილისა და პრაქტიკული გრამატიკის, ასევე ენის ფუნქციების ჯანსაღი ცოდნა. • სალაპარაკო ენაში ვერბალური ურთიერთობის სხვადასხვა ფორმების (დიალოგების, ინტერვიუების, დებატების და ა.შ.) და სხვადასხვა სტილისა და რეგისტრის მახასიათებელი ნიშნების ცოდნა. • კომუნიკაციის პარალინგვისტური ფუნქციების გაგება (ხმის მახასიათებელი თვისებების, სახის მიმიკის, პოზისა და ჟესტიკულაციის სისტემები) • სხვადასხვა ტიპის ლიტერატურული ტექსტის გაგება (ზღაპრის, ლეგენდის, პოემის, ლექსის, მოთხრობის, რომანის) და მათი ძირითადი თვისებების, ისევე როგორც არალიტერატურული ტექსტის ტიპების (CV, ანკეტა, მოხსენება, ესსე და ა.შ.) და მათი ძირითადი მახასიათებელი ნიშნების გარჩევა. • წერილობითი ენის ძირითადი მახასიათებელი ნიშნების გარჩევა (ფორმალური, არაფორმალური, სამეცნიერო, ჟურნალისტური და ა.შ.) • იმის გაცნობიერება, რომ დროის, გეოგრაფიული, საკომუნიკაციო და სოციალური გარემოს შეცვლასთან ერთად იცვლება ენისა და კომუნიკაციის ფორმები.	• კომუნიკაციის უნარი ზეპირი და წერილობითი ფორმით, გაგება და გაგებინება, გარჩევა სხვადასხვა სიტუაციებში, სხვადასხვა მიზნებისთვის წერითი თუ ზეპირი ფორმის მესიჯებისა და საკუთარი აზრების ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბება. აგრეთვე უნარი წამოიწყო, ისაუბრო და დაასრულო დიალოგი სხვადასხვა საკომუნიკაციო კონტექსტში. • განსხვავებული ტექსტების კითხვისა და გაგების უნარი. სხვადასხვა მიზნებისთვის კითხვისას გამომუშავებული სტრატეგიის ქონა (ინფორმაციისთვის ან სიამოვნებისათვის კითხვა). • განსხვავებული მიზნებისთვის საჭირო ტექსტების დაბეჭდვის და წერის პროცესის მონიტორინგის უნარი (მონახაზიდან საბოლოო ვარიანტამდე). • წერილობითი ინფორმაციის, მონაცემებისა და კონცეფციის მოძიების, მოპოვებისა და გადამუშავების უნარი, მათი სწავლისას გამოყენება, ცოდნის სისტემაში მოყვანის მიზნით. კითხვის, წერის, ლაპარაკის და მოსმენისას მნიშვნელოვანი ინფორმაციის უმნიშვნელოსაგან გარჩევის უნარი. • ლაპარაკსა თუ წერაში, საკუთარი არგუმენტების დამაჯერებლად ფორმულირების და სხვათა აზრების მოსმენისა და გაგების უნარი. • დამხმარე საშუალებების გამოყენების ცოდნა (როგორიცაა რუქები, სქემები, შენიშვნები) და ასევე უნარი შექმნა, წარმოადგინო ან გაიგო რთული ტექსტები ზეპირ თუ წერილობით ფორმაში. (მოხსენებები, დიალოგები, ინსტრუქციები, ინტერვიუები, დებატები).	• <u>მშობლიური ენისადმი პოზიტიური დამოკიდებულების</u> განვითარება და იმის გაცნობიერება, რომ ეს ინდივიდის პიროვნული და კულტურული განვითარების პოტენციური წყაროა. • მზადყოფნა სხვათა აზრებისა და არგუმენტების მოსმენისა და <u>კონსტრუქციული და კრიტიკული დიალოგის</u> წარმართვა. • საჯარო გამოსვლებისას საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება. • სიტყვების და ფრაზების სწორი ტექნიკური მნიშვნელობით გამოყენების გარდა, მათთვის <u>ესთეტიური ფასეულობის</u> მინიჭებისაკენ სწრაფვა. • <u>ლიტერატურის სიყვარულის</u> განვითარება. • <u>კულტურათაშორის ურთიერთობისადმი</u> პოზიტიური დამოკიდებულების გამომუშავება.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
2. უცხო ენაზე კომუნიკაცია	უცხო ენაზე კომუნიკაცია წარმოადგენს ფიქრების, გრძნობების და ფაქტების გაგების, გამოხატვის და ინტერპრეტირების უნარს, როგორც ზეპირი, ასევე წერითი ფორმით შესაბამის სოციალურ კონტექსტებში – სამსახურში, სახლში, თავისუფალი დროის გატარებისას, სწავლისა და წვრთნის დროს – არამშობლიური ენის შესწავლისას ან სკოლაში სავალდებულო უცხო ენის დაუფლებისას, ინდივიდის სურვილებისა და მოთხოვნილებებიდან გამომდინარე[27].	• ლექსიკის, პრაქტიკული გრამატიკის, ინტონაციის და გამოთქმის ჯანსაღი ცოდნა. • ვერბალური ურთიერთობის სხვადასხვა ტიპების გარჩევა (მაგ.: პირისპირ, ტელეფონით, ინტერვიუს სახით და ა.შ.) • სხვადასხვა ლიტერატურული და არალიტერატურული ტექსტების გაგება (მაგ.: პოემები, მოთხრობები, სტატიები ჟურნალ-გაზეთებიდან, ვებ-გვერდები, ინსტრუქციები, წერილები, მოკლე მოხსენებები და ა.შ.). • სალაპარაკო და წერით ენაში სხვადასხვა სტილისა და რეგისტრის მთავარი მახასიათებებლის გარჩევა (ფორმალური, არაფორმალური, ჟურნალისტური, სასაუბრო და ა.შ.) • კულტურული და საზოგადოებრივი ჩვევებისა და ასპექტების გაცნობიერება და აგრეთვე იმის ცოდნა, თუ როგორ იცვლება საკომუნიკაციო ენა სხვადასხვა გეოგრაფიულ და სოციალურ გარემოში.	• სასაუბრო მესიჯების მოსმენისა და გაგების უნარი მრავალმხრივ საკომუნიკაციო სიტუაციებში (ყოველდღიურ ინტერესებთან შესაბამისი და მახლობელი თემები). • ყოველდღიურ ინტერესებთან შესაბამის და მახლობელ თემებზე დიალოგის წამოწყება, წარმართვა და დასრულება. • არასპეციალიზებული, სხვადასხვა თემაზე დაწერილი ტექსტების წაკითხვა და გაგება, ან ზოგიერთ შემთხვევაში მონათესავე დარგში სპეციალიზირებული ტექსტისაც. სხვადასხვა სიტუაციებისთვის ტექსტების დაწერის უნარი. • დამხმარე ტექსტების გაგების უნარი (მაგ.: დიალოგები, ინსტრუქციები, ინტერვიუები, საჯარო გამოსვლები). • ენის დამოუკიდებლად შესწავლისა და დახვეწის უნარი.	• ერების კულტურული მახასიათებლემისადმი სათუთი დამოკიდებულების გამომუშავება და სტერეოტიპული აზროვნებისაგან განთავისუფლება. • ზოგადი ინტერესისა და ცნობისწადილის გამოვლენა სხვადასხვა ენებისადმი (სამეზობლო, რეგიონალური, უმცირესობათა ან უძველესი, ნიშნების ენისადმი და ა.შ.) და კულტურათაშორის კომუნიკაციისადმი.

[27] იგულისხმება ევროპული ენების მრავალფეროვნება, რომლებიც ისწავლება უცხო ენის სახით და ის უამრავი კონტექსტი, რომელშიც ისინი შეიძლება გამოიყენებოდეს. ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულების სვეტები გვიჩვენებენ მხოლოდ უცხო ენის საკომუნიკაციო კომპეტენციის ძირითად ელემენტებს. რაც შეეხება ენაში დაოსტატებას, შესაბამისი დონეები წარმოდგენილია ზოგად ევროპულ ჩარჩო-რეკომენდაციებში ენებისათვის (CEF).

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
3.1. მათემატიკური წიგნიერება	ყველაზე საბაზისო (basic) დონეზე, მათემატიკური წიგნიერება[28] გულისხმობს მიმატება-გამოკლების, გამრავლება-გაყოფის და პროცენტების გამოანგარიშების და შეფარდების უნარს, ინდივიდის მიერ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, გონებაში ან ფურცელზე წარმოებული ანგარიშისას.	• საღი ცოდნა და გაგება რიცხვების და საზომი ერთეულებისა და აგრეთვე მათი გამოყენების უნარი ყოველდღიურად მრავალმხრივ სიტუაციებში. ეს უნარ-ჩვევა გრაფების, ფორმულების და სტატისტიკური მონაცემების გაგებასთან ერთად, წარმოადგენს საბაზისო (basic) საანგარიშო მეთოდებს.	მათემატიკური წიგნიერების საბაზისო (basic) ისეთი ელემენტების გამოყენების უნარი, როგორიცაა: • მიმატება-გამოკლება; • გამრავლება-გაყოფა; • პროცენტები-შეფარდება; • წონა და ზომა ყოველდღიური ყოფითი პრობლემების გადასაჭრელად, მაგ.: • სახლის ბიუჯეტის მართვა (შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა, წინასწარ დაგეგმვა, დანაზოგის გაკეთება); • საყიდლებზე სიარული (ფასების შედარება, წონის და ზომის გაგება, ფულის ფასი); • მოგზაურობა და თავისუფალი დროის გატარება (სამოგზაუროდ მანძილისა და დროის განსაზღვრა; ვალუტისა და ფასების შედარება).	• მზადყოფნა ‘ციფრების შიშის’ დასაძლევად. • მზადყოფნა ყოველდღიური სამსახურებრივი თუ ოჯახური პრობლემების მოგვარების მიზნით, არითმეტიკული ანგარიშის გამოყენებისა.

[28] საბაზისო მათემატიკური წიგნიერება (‘არითმეტიკა’) არის საფუძველი საკვანძო კომპეტენციების სხვა დომენებში შემდგომი განათლებისათვის.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
3. 1. მათემატიკური კომპეტენცია (გაგრძელება)	მათემატიკური კომპეტენცია[29], კიდევ უფრო შორს მიდის თავის განვითარებაში და ის კონტექსტის შესაბამისად მოიცავს მათემატიკური აზროვნების მოდელის გამოყენების უნარსა და მზადყოფნას (ლოგიკური და მასშტაბური აზროვნება) და აგრეთვე მის პრეზენტაციას (ფორმულების, გრაფების/ცხრილების, კონსტრუქციების სახით), რაც უნივერსალური საშუალებაა რეალობის ახსნისა და აღწერისათვის.	• საღი ცოდნა მათემატიკური ტერმინებისა და კონცეფციებისა, აგრეთვე გეომეტრიისა და ალგებრის ყველაზე მნიშვნელოვანი თეორემებისა. • ყველა იმ სახის საკითხების ცოდნა და გაგება, რომელზეც მათემატიკა გვთავაზობს პასუხებს.	• უნარი მიჰყვე წამოყენებული არგუმენტების ლოგიკურ ჯაჭვს, შეაფასო და გამოიტანო დედააზრი მოცემული სიტუაციიდან (განსაკუთრებით მტკიცებულება) და ა.შ. • მათემატიკური სიმბოლოების და ფორმულების გამოყენების უნარი, ასევე დეკოდირებისა და მათემატიკური ენის ინტერპრეტირების უნარი და მათი კავშირის გააზრება ბუნებრივ ენასთან. კომუნიკაცია მათემატიკაში, მისი საშუალებით, ან მის შესახებ. • მათემატიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი მათემატიკური მოდელის აზროვნების ფლობა, საკითხის შესაბამისად აბსტრაქცირების, განზოგადების და მათემატიკურად მოდელირების უნარი (ანუ ანალიზირება და შესატყვისი მოდელების შექმნა), არსებული მოდელების საკითხთან მორგებითა და გამოყენებით. • სხვადასხვა სახის მათემატიკური საგნების, ფენომენების და სიტუაციების, არჩევანისამებრ, გაგებისა და გამოყენების უნარი (დეკოდირება, ინტერპრეტაცია და ერთმანეთისაგან გარჩევა) • მიდრეკილება კრიტიკული აზროვნებისაკენ; სხვადასხვა მათემატიკური დებულებების გარჩევის უნარი (მაგ.: განსხვავება მტკიცებასა და ვარაუდს შორის და ა.შ.); მათემატიკური მტკიცებების და მათი, მოცემულ კონცეფციასთან მიმართებაში, მასშტაბებისა და შეზღუდვების გაგება. • დამხმარე საშუალებებისა და იარაღების გამოყენება (IT-ის ჩათვლით).	• ჭეშმარიტების, როგორც მათემატიკური აზროვნების საფუძვლის პატივისცემა. • მზადყოფნა, საკუთარი მტკიცებების მხარდასაჭერი არგუმენტების მოსაძიებლად. • მზადყოფნა, მიიღო ან უარყო სხვათა აზრები. • მყარი (ან ყავლგასული) არგუმანტებისა და მტკიცებების საფუძველზე.

[29] მათემატიკა, მიუხედავად იმისა, რომ გადაჯაჭვულია არითმეტიკასთან, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ბევრად უფრო რთული მეცნიერებაა. 'მათემატიკური ქცევა' ეს არის რეალობის აღწერა უნივერსალური კონსტრუქციებისა და პროცესების პრიზმაში. ყველაზე უკეთ მისი აღწერა შეგვიძლია უნარ-ჩვევებისა და პირადი დამოკიდებულების კომბინაციით. განმარტება ხაზს უსვამს 'მათემატიკური მოქმედებების' მნიშვნელობას და მიგვანიშნებს მის 'კავშირებზე რეალობასთან', როგორც თანამედროვე ტენდენციას მათემატიკურ განათლებაში.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
3.2. კომპეტენცია მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში	მეცნიერული კომპეტენცია არის უნარი და მზადყოფნა ინდივიდისა, გამოიყენოს მეცნიერების სფეროში დაგროვილი ძირითადი ცოდნა და მეთოდოლოგია ბუნებრივი სამყაროს ასახსნელად. ტექნიკური კომპეტენცია კი განიხილება, როგორც იმ ცოდნის გამოყენება, რომელიც სახეს უცვლის ბუნებრივ გარემოს, ადამიანის მოთხოვნებისა და სურვილების შესაბამისად.	• ბუნებრივი სამყაროს, ტექნოლოგიის და ტექნოლოგიური პროდუქტებისა და პროცესების საბაზისო პრინციპების ცოდნა. • ტექნოლოგიასა და სხვა დარგებს შორის არსებული კავშირების გაგება: მეცნიერული პროგრესი (მაგ.: მედიცინაში), საზოგადოებაში (ფასეულობები, მორალური საკითხები), კულტურა (მაგ.: მულტიმედია) ან გარემოს დაცვა (დაბინძურება, მდგრადი განვითარება).	• ტექნოლოგიური იარაღებისა და მანქანების, ისევე როგორც მეცნიერული მონაცემებისა და მიმდინარე ცვლილებებზე ინფორმაციის გამოყენება და მანიპულირება მიზნის მისაღ-წევად ან დასკვნების გასაკეთებლად. • სამეცნიერო კვლევის არსებითი თვისებების ამოცნობის უნარი. • დასკვნების გაკეთების უნარი და გონიერება, რომელსაც ამ დასკვნებამდე მივყევართ.	• ცნობისმოყვარეობა და კრიტიკული დაფასება მეცნიერების და ტექნოლოგიის, უსაფრთხოების და თავდაცვის, ასევე ეთნიკური საკითხების ჩათვლით. • დადებითი, თუმცა კი კრიტიკული მიდგომა რეალური ინფორმაციის გამოყენებისას და იმის გაცნობიერება, რომ დასკვნების გასაკეთებლად ლოგიკური აზროვნების პროცესია საჭირო. • მეცნიერული ცოდნის შეძენის სურვილი და ინტერესის გამოჩენა მეცნიერებისადმი, სამეცნიერო და ტექნიკური კარიერებისადმი.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განსაზღვრება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
4. ციფრული კომპეტენცია	ციფრული კომპეტენცია გულისხმობს ტექნოლოგიური საზოგადოების (IST)[30] ინფორმაციის, პასუხისმგებლობითა და კრიტიკულად გამოყენებას სამუშაოსთვის, კომუნიკაციისა და გართობისთვის. ეს კომპეტენცია ახლოს დგას ლოგიკურ და კრიტიკულ აზროვნებასთან, მაღალ საფეხურზე ინფორმაციის მენეჯმენტის უნარ-ჩვევასთან და კარგად განვითარებული კომუნიკაციის უნართან. ყველაზე საბაზისო საფეხურზე, ICT- ის უნარ-ჩვევები გულისხმობს, მულტიმედია ტექნოლოგიის გამოყენებას მიღებას, შეფასებას, შენახვას, წარმოებას, წარმოდგენას ინფორმაციის გაცვლის მიზნით, ისევე როგორც ინტერნეტში ჩართვისა და კომუნიკაციისათვის.	IST-ის ბუნების, როლისა და შესაძლებლობების ჯანსაღი გაგება ყოველდღიურ კონტექსტში მოიცავს[31]: • მთავარი კომპიუტერული მანიპულაციების ცოდნას: სიტყვის დამუშავების, მონაცემთა ბაზის და ინფორმაციის შენახვისა და მენეჯმენტისა; • ინტერნეტით და ელექტრონული მედიით კომუნიკაციის (ელ-ფოსტით, ვიდეო-კონფერენციით და ა.შ.) შესაძლებლობების გაცნობიერება; რეალური და ვირტუალური სამყაროების გარჩევა. • IST-ის პოტენციალის გააზრებას, მისი როლის განსაზღვრას შემოქმედებით და ინოვაციურ მიღწევებში, ისევე როგორც სოციალურ ინტეგრაციასა და დასაქმებაში. • ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანდოობის და ვარგისიანობის (მიღება-გაზიარების უნარი) გაცნობიერებას და IST-ის ინტერაქტიული გამოყენებისას ეთიკური ნორმების პატივისცემას.	იქიდან გამომდინარე, რომ IST-ის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება უფრო და უფრო მატულობს, სწავლასა თუ გართობაში, ამისათვის საჭირო უნარ-ჩვევებია: • ელექტრონული ინფორმაციის, მონაცემებისა და კონცეფციების მოძიების, მოპოვების და გადამუშავების უნარი (შექმნა, ორგანიზება, მნიშვნელოვანის უმნიშვნელოსაგან, სუბიექტურის ობიექტურისაგან და რეალურის ვირტუალურისაგან გარჩევა) და მათი მეთოდური გამოყენება; • შესაბამისი დამხმარე საშუალებების გამოყენების უნარი (პრეზენტაციები, გრაფები, ცხრილები, რუქები), რთული ინფორმაციის წარმოების, წარმოდგენის ან გაგებისათვის; • ვებგვერდის მოძიებისა და ინტერნეტზე დაფუძნებული სერვისების, ელ-ფოსტის და სადისკუსიო გაერთიანებების გამოყენების უნარი; • IST-ის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების უნარი კრიტიკული აზროვნების, შემოქმედების და ინოვაციბისათვის, სახლში, სამსახურში, თუ თავისუფალი დროის გასატარებლად.	• მიდრეკილება IST-ის დამოუკიდებლად და ჯგუფში გამოყენებისა; კრიტიკული და გააზრებული მოქმედება, ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოპოვებისას. • პოზიტიური, ფრთხილი და <u>პასუხისმგებლობით აღსავსე</u> დამოკიდებულება ინტერნეტთან, კერძო ინფორმაციისა და კულტურული მრავალფეროვნების ჩათვლით. IST-ის გამოყენება <u>ჰორიზონტის გასაფართოვებლად</u>, საზოგადოებებსა და ქსელებში კულტურული, სოციალური, თუ პროფესიული მიზნებით ჩართვით.

[30] საზოგადოებრივი ტექნოლოგიების ინფორმაცია (Information Society Technologies): გვთავაზობს სერვისს დაფუძნებულს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიაზე (Information and Communication Technologies), ინტერნეტზე, ციფრულ შინაარსზე, ელექტრონულ მედიაზე და ა.შ., მაგ.: პერსონალური კომპიუტერით, მობილური ტელეფონით, ელექტრო საბანკო აპარატით, ციფრული ტელევიზორით ა.შ.

[31] განვითარებული ICT უნარ-ჩვევები უფრო კარგად შეიძლება განიმარტოს, როგორც მედია კომპეტენციები, რაც მოიცავს მედიის ტექნიკური და კულტურული ასპექტების გაცნობიერებას და გაგებას და ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
5. დამოუკიდებლად სწავლის უნარი	დამოუკიდებლად სწავლის უნარი მოიცავს საკუთარი სწავლის ორგანიზებისა და რეგულირების მიდრეკილებასა და უნარს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფში. ის გულისხმობს ინდივიდის მიერ საკუთარი დროის ეფექტურად განაწილების უნარს, რათა გადაჭრას პრობლემები, მოიპოვოს, გადაამუშაოს, შეაფასოს და შეითვისოს ახალი ცოდნა და გამოიყენოს ეს ახალი ცოდნა და უნარი სხვადასხვა კონტექსტში –სახლში, სამსახურში, განათლებასა და წვრთნაში. ზოგადად რომ ვთქვათ, ეს არის საკუთარი კარიერის განსაზღვრის უნარი.	• საკუთარი უნარებისა და კვალიფიკაციის სუსტი და ძლიერი მხარეებისა და სასურველი სწავლის მეთოდების ცოდნა და გააზრება. • სწავლასა და წვრთნაში ხელმისაწვდომი შესაძლებლობების ცოდნა და იმის გააზრება, თუ კარიერაში რა მიმართულებით წაგვიყვანს სწავლისა და წვრთნის კურსის გავლისას მიღებული გადაწყვეტილებები.	• ზოგადად სწავლისა და კარიერის[32] ეფექტური თვითმენეჯმენტი: სწავლისათვის დროის მიძღვნის, ავტონომიის, დისციპლინის, მიზანსწრაფულობის და ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი სწავლის პროცესში. • კონცენტრირების უნარი, როგორც მოკლე დროის მონაკვეთში, ასევე უფრო ხანგრძლივადაც. • სწავლის მიზნისა და დანიშნულებისადმი კრიტიკულად მიდგომის უნარი. • უნარი კომუნიკაციისა, როგორც სწავლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილისა, შესაბამისი საშუალებების გამოყენებით (ინტონაცია, ჟესტიკულაცია, მიმიკა და ა.შ.) ზეპირი კომუნიკაციის მხარდასაჭერად და აგრეთვე უნარი სხვადასხვა მულტიმედია მესიჯების წარმოებისა (ზეპირი თუ წერითი ფორმით, ბგერა, მუსიკა და ა.შ.)	• <u>საკუთარი პიროვნული განვითარების კონცეფცია</u>, რომელიც მხარს უჭერს მზადყოფნას კომპეტენციების ცვლილებისა და განვითარებისაკენ და ასევე <u>თვითმოტივაცია</u> და საკუთარი შესაძლებლობებით წარმატების მიღწევის რწმენა. • პოზიტიური დაფასება სწავლისა, რომელიც ამდიდრებს ცხოვრებას და ინიციატივის გამოჩენა სწავლის დასაწყებად. • ადაპტაციის უნარი და მოქნილობა.

[32] საბჭოს რეზოლუცია 9286/04, რომელიც გამოიცა 2004 წლის 18 მაისს და ეხება გაძლიერების პოლიტიკას, სისტემებს და პრაქტიკას ხელმძღვანელობის სფეროში და ემსახურება სასწავლო ტექნიკისა და ავტონომიური განათლების პროპაგანდას, რათა საშუალება მისცენ ახალგაზრდებსა და ზრდასრულებს ეფექტურად მართონ საკუთარი სწავლა და კარიერა.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
6.1. პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი და სოციალური კომპეტენციები	პიროვნებათშორისი კომპეტენცია მოიცავს ყველა იმ ქცევის ფორმას, რომელიც უნდა ჰქონდეს პიროვნებას, რათა შეძლოს სხვა პირებთან (ან ჯგუფებთან) ურთიერთობაში, პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ კონტექსტში, ეფექტიანი და კონსტრუქციული მოქმედება და სოციალურ ცხოვრებაში კონფლიქტების გადაჭრა	• სხვადასხვა საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესების გაგება. • ინდივიდუალური, ჯგუფური, საზოგადოებრივი და კულტურული კონცეფციებისა და მათი ისტორიული ევოლუციის გააზრება. • იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა იზრუნოს ადამიანმა საკუთარ და ოჯახის ჯანმრთელობაზე, ჰიგიენასა და კვებაზე. • ევროპული და სხვა საზოგადოებების კულტურათაშორისი განზომილების ცოდნა.	• სხვადასხვა სოციალურ სიტუაციებში კონსტრუქციული კომუნიკაციის უნარი (სხვათა შეხედულებებისა და ქცევისადმი ტოლერანტულობის გამოჩენა; პირადი და კოლექტიური პასუხისმგებლობის გაცნობიერება). • სხვა ინდივიდებში ნდობის და სიმპატიის აღძვრის უნარი. • იმედგაცრუების კონსტრუქციულად გამოხატვის უნარი (აგრესიისა და ძალადობის, აგრეთვე თვითამანადგურებელი ქცევის კონტროლი). • პირადი და პროფესიული ცხოვრების ერთმანეთისაგან განცალკევების უნარი და პროფესიული კონფლიქტის პირად კონფლიქტად გადაქცევის თავიდან აცილება. • ნაციონალური და კულტურული იდენტურობის გაცნობიერება ევროპის და მსოფლიო კულტურულ იდენტურობასთან ურთიერთქმედებისას; განსხვავებული შეხედულებების დანახვისა და გაგების და საკუთარი შეხედულების კონსტრუქციულად გამოთქმის უნარი. • კამათის უნარი.	• სხვებისადმი ინტერესის და პატივისცემის გამოხატვა. • მზადყოფნა სტერეოტიპების და ცრურწმენების დასაძლევად. • მზადყოფნა კომპრომისზე წასასვლელად. • ხასიათის სიმტკიცე. • თავდაჯერებულობა.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
6.2. მოქალაქეობრივი კომპეტენცია	მოქალაქეობრივ კომპეტენციას უფრო ფართო ასპარეზი აქვს, ვიდრე პიროვნებათშორის კომპეტენციას, მისი საზოგადოებრივ დონეზე არსებობის ხარისხის გამო. ისინი შეიძლება აღვწეროთ, როგორც კომპეტენციების კომპლექტი, რომელიც აუცილებელია პიროვნების საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის.	• ადამიანის უფლებების და მასპინძელი ქვეყნის კონსტიტუციის და მთავრობის ცოდნა. • იმ ორგანიზაციების როლისა და პასუხისმგებლობის ცოდნა, რომლებიც მონაწილეობენ პოლიტიკის შექმნის პროცესში ადგილობრივ, რეგიონალურ, ნაციონალურ, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე (ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიური როლის ჩათვლით). • ადგილობრივ და ქვეყნის მთავრობაში მთავარი ფიგურების, აგრეთვე პოლიტიკური პარტიების და მათი პოლიტიკისა ცნობა. • დემოკრატიისა და მოქალაქეობრიობის კონცეფციების გაგება და მათზე საერთაშორისო დეკლარაციები (ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების წესდება და ხელშეკრულებები). • ეროვნულ, ევროპულ და მსოფლიო ისტორიაში მიმდინარე ცვლილებების, მთავარი მოვლენების, მიმართულებების და ფაქტორების საქმის კურსში ყოფნა აგრეთვე ევროპისა და მისი სამეზობლოს დღევანდელი სიტუაციის ცოდნა. • ევროპასა და მსოფლიოში ემიგრაციის, იმიგრაციის და უმცირესობათა შესახებ ინფორმაციის ქონა.	• საზოგადოებრივ / სამეზობლო საქმიანობაში, ისევე როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა ეროვნულ და ევროპულ დონეებზე; არჩევნებში ხმის მიცემა. • ინტერესის გამოჩენით, სოლიდარობის გამოხატვის უნარი და ადგილობრივი და უფრო ფართო საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის საკითხებში მონაწილეობის მიღება. • საზოგადოებრივ სფეროში სხვადასხვა ინსტიტუტებთან ეფექტური ურთიერთობის უნარი. • ევროკავშირის მიერ მონიჭებული შესაძლებლობებიდან სარგებლის მიღება. • სახელმწიფო ენის ფლობის სავალდებულო ხარისხი.	• კავშირის შეგრძნება ადგილობრივ გარემოსთან, ქვეყანასთან, ევროკავშირთან და ზოგადად ევროპასთან (მის ნაწილად) და მსოფლიოსთან. • მზადყოფნა დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვისა. • მზადყოფნა მოქალაქეობრივ საქმიანობაში *ვოლუნტარისტული* ჩართვისა, სოციალური მრავალფეროვნებისა და ურთიერთგათანებრების მხარდასაჭერად. • სხვათა ფასეულობებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემა და მზადყოფნა ანტისოციალური ქმედების წინააღმდეგ გასალაშქრებლად. • ადამიანის უფლებების კონცეფციის გაზიარება და თანასწორობის, როგორც სოლიდარობის საფუძვლის მიღება. ევროპის თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებების ცნობა და ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის მიღება. • სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების ფასეულობათა სისტემის დაფასება და განსხვავებების გაგება. • მასმედიის მიერ მოწოდებული ინფორმაციისადმი კრიტიკული მიდგომა.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
7. მეწარმეობა	მეწარმეობა შედგება ***აქტიური და პასიური კომპონენტებისაგან:*** სიახლეების შემოტანისაკენ მიდრეკილება და ამასთანავე სხვათა ინოვაციების გაზიარების უნარიც. მეწარმეობა გულისხმობს ცვლილებების მიღებას, საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობის აღებას (როგორც დადებითის, ასევე უარყოფითის), მიზნების დასახვასა და მათ განხორციელებას და წარმატებისათვის მოტივაციის ქონას.	• ხელმისაწვდომი შესაძლებლობების ცოდნა, რათა ამოიცნოთ ის შესაძლებლობები, რომლებიც მორგებულია თქვენს პირად, პროფესიულ და/ან ბიზნეს საქმიანობას.	• დაგეგმვის, ორგანიზების, ანალიზირების, კეთების, კომუნიკაციის, ინსტრუქტაჟის გაგების, შეფასების და ჩაწერის უნარი. • პროექტის განვითარებისა და განხორციელების უნარი. • გუნდში ერთობლივი და მოქნილი მუშაობის უნარი. • საკუთარი პიროვნული ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა. • აქტიურად მოქმედებისა და ცვლილებების პოზიტიურად მიღების უნარი. • შეფასებისა და რისკის გაწევის უნარი, რადგან და როცა მიზანშეწონილია.	• ინიციატივის გამოჩენისადმი მიდრეკილება • ცვლილებებისა და ინოვაციებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება. • მზადყოფნა იმ სფეროების ამოსაცნობად, სადაც პიროვნება შეძლებდა საკუთარი სამეწარმეო უნერ-ჩვევების სრულად დემონსტრირებას – მაგ.: სახლში, სამსახურში და საზოგადოებაში.

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში				
დომენი	**კომპეტენციის განმარტება**	**კომპეტენციები შეიცავს კონტექსტის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების ელემენტებს:**		
		ცოდნა	**უნარ-ჩვევები**	**დამოკიდებულებები**
8. კულტურული გამოხატველობა	• იდეების, გამოცდილებების და ემოციების შემოქმედებითად გამოხატვის მნიშვნელობის დაფასება მედიის ფართე დიაპაზონში, მუსიკალური, სხეულის ენის, ლიტერატურისა და პლასტიკური ხელოვნების[33] სფეროში.	• ძირითადი კულტურული ნამუშევრების საბაზისო ცოდნა, პოპულარული კულტურის, როგორც ადამიანურ ისტორიაში მნიშვნელოვანი მონაპოვრის ჩათვლით. • ეროვნული და ევროპული კულტურული მემკვიდრეობისა და მისი მსოფლიო მნიშვნელობის გაცნობიერება; • ევროპის კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნების ცოდნა; პოპულარული გემოვნების განვითარების და ყოველდღიურ ცხოვრებაში ესთეტური ფაქტორების მნიშვნელობის გაცნობიერება.	• მრავალფეროვანი მედია-საშუალებებით მხატვრული თვითგამოხატვის უნარი, ინდივიდის თანდაყოლილი ნიჭიდან გამომდინარე; • კულტურის მრავალფეროვან სპექტრში შექმნილი ხელოვნების ნიმუშებითა და წარმოდგენებით ტკბობისა და დაფასების უნარი; • საკუთარი შემოქმედებითი და გამომხატველობითი შეხედულებების სხვათა ხედვასთან დაკავშირების უნარი; • კულტურულ საქმიანობაში ეკონომიკური შესაძლებლობების ამოცნობა და გაანალიზება.	• გახსნილობა კულტურული გამომხატველობის მრავალფეროვნებისადმი • მზადყოფნა ესთეტური შესაძლებლობების მხატვრული თვითგამოხატვის მეშვეობით დამუშავებისათვის და უწყვეტი ინტერესის გამოჩენა კულტურული ცხოვრებისადმი; ინდივიდუალურობის ძლიერი შეგრძნება, შერწყმული მრავალფეროვნების პატივისცემასთან.

[33] კულტურული და მხატვრული გამოხატვის როლი არსებითია, როგორც ცოდნისა და უნარის მოპოვების საშუალება, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში და ზოგადად ცხოვრებაში სულიერად გასამდიდრებლად. საწყისი განათლება შესაბამისად უნდა იყოს იმ პოტენციალის განვითარება, რომელიც შექმნის საფუძველს შემდგომი ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური სწავლისათვის.

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით 2 200 220
ან ნებისმიერი კითხვით მოგვმართეთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით
info@eqe.ge